საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის

ბრძანება №43
2026 წლის 20 მარტი

ქ. თბილისი

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ტერიტორიული ორგანოების მოსამსახურეთა ფორმის ტანსაცმლისა და ატრიბუტიკის დამტკიცების შესახებ

„პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის 47-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 13 დეკემბრის №337 დადგენილებით დამტკიცებული დებულების პირველი მუხლის მე-4 პუნქტისა და მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „ნ“ ქვეპუნქტების საფუძველზე, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

დამტკიცდეს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ტერიტორიული ორგანოების მოსამსახურეთა ფორმის ტანსაცმელი და ატრიბუტიკა შემდეგი სახით:

ა) ტერიტორიული ორგანოების ემბლემა (დანართი №1);

ბ) ტერიტორიული ორგანოების უბნის ინსპექტორის, დეტექტივისა და გამომძიებლის ფორმის ტანსაცმელი და ატრიბუტიკა (დანართი №2);

გ) ტერიტორიული ორგანოების მართლწესრიგის ოფიცრის ფორმის ტანსაცმელი და ატრიბუტიკა (დანართი №3);

დ) ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ადმინისტრაციის (სამმართველო) ოპერატიულ-სამორიგეო განყოფილების და რაიონული მთავარი სამმართველოების ინსპექტორების/მორიგე/ფორმის ტანსაცმელი და ატრიბუტიკა (დანართი №4);

ე) ტერიტორიული ორგანოების მოსამსახურეთა სააღლუმე-საყოველდღეო ფორმის ტანსაცმელი და ატრიბუტიკა (დანართი №5).

მუხლი 2

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ტერიტორიული ორგანოების მოსამსახურეთა ამ ბრძანების ამოქმედებამდე არსებული ფორმის ტანსაცმლისა და ატრიბუტიკის ნიმუშის გამოყენება დასაშვებია მარაგების ამოწურვამდე.

მუხლი 3

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი **გელა გელაძე**